თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №120208

ნომერი: AR138347

თარიღი : 10.04.2012

გაცემის თარიღი : 12.04.2012

გაცნობის თარიღი : 12.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზიზი ურუშაძე პ/ნ 01008016939
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს „ექიფ ჰალი ფაზარლამა სანაი ვე თიჯარეთი“-ის ფილიალი საქართველოში კოდი: 404928959

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე I კლასის სარეკლამო აბრების მოწყობისა და შენობის წინ მდებარე ტერიტორიაზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის სსიპ მერიის თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს ,,მერმისი,,–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #034/451) არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობისა და ამავე შენობის წინ მდებარე ტერიტორიაზე (მისსავე საკადასტრო საზღვრებში) სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების განხორციელებას .პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ,,მერმისი,,–ს საკუთრების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882012050654 საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.451 მინდობილობა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს ,,მერმისი,,–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #034/451) არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობისა და ამავე შენობის წინ მდებარე ტერიტორიაზე (მისსავე საკადასტრო საზღვრებში) სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების განხორციელების შესაძლებლობას.

სარეკლამო აბრების განთავსებისას და სარეკლამო კონსტრუქციის მონტაჟისას უზრუნველყოფილ იქნას მათი კონსტრუქციული მდგრადობა

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge